

შპს „ალია“

ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	6
ზოგადი ინფორმაცია	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
ტერმინების განმარტებები:	6
სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები	7
ფული და ფულის ეკვივალენტები	7
ფინანსური აქტივების გაუფასურება	7
ფინანსური ვალდებულებები	7
ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა	8
ძირითადი საშუალებები	8
არამატერიალური აქტივები	9
მარაგები	9
დაბეგვრა	9
შემოსავალი	9
ხარჯების აღიარება	10
სახელფასო განაცემები	10
შეფასებისა და წარდგენის ვალუტა	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
შენიშვნა 2 - ძირითადი საშუალებები	11
შენიშვნა 3 - არამატერიალური აქტივები	11
შენიშვნა 5 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	12
შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
შენიშვნა 7 - მარაგები	12
შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12
შენიშვნა 9 - ამონაგები	13
შენიშვნა 10 - თვითღირებულება	13
შენიშვნა 11 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	13

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915


მოგება-ზარალის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	9	7,518,035	8,187,717
თვითღირებულება	10	(6,051,991)	(6,682,195)
საერთო მოგება		1,466,044	1,505,522
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(918,392)	(627,688)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		5,085	-
სხვა ხარჯები		(23,005)	(7,464)
საოპერაციო მოგება		529,731	870,370
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		529,731	870,370
მოგების გადასახადის ხარჯი		(91,171)	(85,795)
წმინდა მოგება		438,560	784,575
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		438,560	784,575

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	21,735	17,574
სხვა არამატერიალური აქტივები	4	1,724	2,044
		23,459	19,619
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	54,856	43,447
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	51,305	129,904
მარაგები	7	498,521	580,773
სხვა აქტივები		27,523	-
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		632,206	754,124
		655,664	773,743
მთლიანი აქტივები			
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		432,399	499,103
		432,399	499,103
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	223,265	274,640
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
		223,265	274,640
		223,265	274,640
მთლიანი ვალდებულებები			
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები			
		655,664	773,743

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915


კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	-	-	191,896	191,896
წმინდა მოგება	-	-	784,575	784,575
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	784,575	784,575
გაცემული დივიდენდი	-	-	(477,368)	(477,368)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	499,103	499,103
წმინდა მოგება	-	-	438,560	438,560
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	438,560	438,560
გაცემული დივიდენდი	-	-	(505,263)	(505,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	432,399	432,399

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 26 ოქტომბერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 401963915.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო -საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. შპს „ალია“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 300 – მდე დასახელების რეალიზაციას ესენია: სხვა და სხვა მოდელების და სიმძლავრის გათბობის ქვაბები, სხვა და სხვა ზომის პანელური და სექციური რადიატორები, საფართოებელი ავზები, ბოილერები, საიზოლაციო მილები, კოლექტორები, კანალიზაციის და წყლის მილები და ფიტინგები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების შეძენას ადგილობრივ ბაზარზე.

კომპანიის ფიზიკური მისამართია ქ.თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №21 მაღაზია 16. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო, №21. 2016 წლის 14 ივნისიდან კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ფელიქს არუთინოვი.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 13 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.


სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

დირექტორი: _____



მთავარი ბუღალტერი: _____



ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915

ვალდებულების აღიარება და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განისაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება


კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დირექტორი: _____



მთავარი ბუღალტერი: _____



შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915

შენიშვნა 2 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	-	-	-	11,045	20,768	31,813
შემოსვლა	-	-	-	3,391	15,201	18,592
გასვლა	-	-	-	(1,582)	(20,768)	(22,350)
31 დეკემბერი 2023	-	-	-	12,854	15,201	28,055
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	-	-	-	(14,239)	-	(14,239)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	(2,880)	-	(2,880)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	10,799	-	10,799
31 დეკემბერი 2023	-	-	-	(6,320)	-	(6,320)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	-	-	-	(3,194)	20,768	17,574
31 დეკემბერი 2023	-	-	-	6,534	15,201	21,735

შენიშვნა 3 - არამატერიალური აქტივები

	სხვა არამატერიალური აქტივები
31 დეკემბერი 2022	2,905
შემოსვლა	-
გასვლა	(990)
31 დეკემბერი 2023	1,915
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	(861)
პერიოდის ცვეთა	(192)
გაუფასურება	-
გასვლა	861
31 დეკემბერი 2023	(192)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	2,044
31 დეკემბერი 2023	1,724

შენიშვნა 5 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	46,236	25,480
ეროვნული ვალუტა ბანკში	8,621	17,967
უცხოური ვალუტა ბანკში	-	-
სულ	54,856	43,447

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	50,868	103,394
გადახდილი ავანსები	437	437
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
საგადასახადო აქტივი	-	26,073
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	51,305	129,904

შენიშვნა 7 - მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	498,521	580,773
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	498,521	580,773

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	223,265	274,640
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
სულ	223,265	274,640


შენიშვნა 9 - ამონაგები

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	7,518,035	8,226,528
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	7,518,035	8,226,528

დირექტორი: _____



მთავარი ბუღალტერი: _____



შპს ალია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963915

შენიშვნა 10 - თვითღირებულება

	2023	2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	6,051,991	6,682,195
სულ	6,051,991	6,682,195

შენიშვნა 11 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(639,033)	(404,858)
საპენსიო ხარჯი	(13,821)	(8,205)
სამეურნეო ხარჯი	(7,907)	(6,648)
იჯარის ხარჯი	(72,048)	(86,078)
ტრანსპორტირების ხარჯი	(26,137)	(8,275)
კომუნალური ხარჯები	(8,976)	(8,651)
დაზღვევის ხარჯი	(9,277)	(5,514)
საშუამავლო ხარჯი	(97,210)	(45,914)
რემონტი	(1,752)	(2,427)
რეკლამის ხარჯი	(387)	(30)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(3,184)	(2,283)
დაცვის ხარჯი	(885)	(610)
საწვავის ხარჯი	(8,518)	(9,906)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(29,258)	(37,949)
ბუღალტრული პროგრამის ტექნიკური მომსახურება	-	(340)
სულ	(918,392)	(627,688)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

